EP GEORGIA GENERATION

**JSC "EP GEORGIA GENERATION"**
**24 Zurab Anjaparidze street**
**0186 Tbilisi, Georgia**
**ID Code: 405182626**

**ss „ep jorjia generacia"**
**ზურაბ ანჯაფარიძის ქ. 24**
**0186 თბილისი, საქართველო**
**სარ. კოდი: 405182626**

13.05.2026

# 60000932

ბატონ გიორგი მაისურაძეს

მის: თბილისი. ი თარხნიშვილის 2, მე-7 სართული, შშ ბიდიო ლეგალ

ელ ფოსტა: gmaisuradze@bd.ge

ტელ: 599 30 75 24;

ბატონო გიორგი,

კომპანიაში შემოსულია თქვენი 04 05 2026 წლის წერილი (შემ.# 10000999), რომლის თანახმადაც ითხოვთ შპს „რჰ-გრუპ დეველოპმენტი"-ის (ყოფილი სახელწოდება შპს „ნირან პროპერტის დეველოპნენტი") კუთვნილი შენობა-ნაგებობის (ს.კ. 01.17.01.01.138.054) დემონტაჟზე სს „ეპ ჯორჯია გენერაციის" (შემდგომში კომპანია) თანხმობას, რადგან აღნიშნული შენობის ნაწილი გადმოსულია კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ.01.17.01.138.003).

კომპანია ყურადღებით გაეცნო შემოსულ წერილს და გაცნობებთ, თანახმაა, შესრულდეს აღნიშნული შენობის დემონტაჟის სამუშაოები შემდეგი პირობების დაცვით:

1. აღნიშნული საპროექტო/სამშენებლო სამუშაოები შესრულდეს საქართველოში მოქმედი სამშენებლო წესების და კანონმდებლობის ნორმების შესაბამისად;
2. შენობის იმ ნაწილის დემონტაჟი, რომელიც გადმოსულია კომპანიის ნაკვეთზე, განხორციელდეს ხელით. მიღებულ იქნას ზომები, რომ არ მოხდეს სამშენებლო ნარჩენების, მათ შორის მტვრის მოხვედრა ელ. დანადგარებზე და დემონტაჟის სამუშაოები განხორციელდეს კომპანიის წარმომადგენლის მეთვალყურეობის ქვეშ.
3. საპროექტო/სამშენებლო სამუშაოების დაწყება დასრულების გეგმა-გრაფიკი შეთანხმდეს კომპანიის კუთვნილი ორთაჭალა ჰესის ხელმძღვანელთან ბ-ნ ვალერი ლომთათიძესთან ტელ: 577 35 07 65;
4. შპს „რჰ-გრუპ დეველოპმენტი"-ის (ყოფილი სახელწოდება შპს „ნირან პროპერტის დეველოპნენტი") კუთვნილი შენობა-ნაგებობის (ს.კ. 01.17.01.01.138.054) დემონტაჟის პროექტირება/სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას ან შემდგომ პერიოდში, დემონტაჟის პროექტირება/სამშენებლო სამუშაოების მიზეზით კომპანიის კუთვნილი ქონების დაზიანების შემთხვევაში, აღდგენით სამუშოებზე გაწეული შრომითი და მატერიალური დანახარჯები, ასევე ამ შესაძლო დაზიანებით გამოწვეული გამომუშავების დანაკარგით გამოწვეული ფინანსური ზარალი ანაზღაურდება შპს „რჰ-გრუპ დეველოპმენტი"-ის (ყოფილი სახელწოდება შპს „ნირან პროპერტის დეველოპნენტი") დეველოპნენტის" მიერ.

პატივისცემით,

დიან დიმოვი

დირექტორთა საბჭოს წევრი

| თანხმობა | | Consent |
|---|---|---|
| **თარიღი: 25.03.2025** | | **Date: 25.03.2025** |
| შპს „ბი.ზი. ინიშიეითივს ენდ ბიზნეს დეველოპმენტ ჯორჯია" (ს.ნ 204544421) წარმოდგენილი დირექტორის გაი იაკოვ ცადიკის (ისრაელის მოქალაქე, პ.ნ.0-2775162-7) მიერ, რომელის სასარგებლოდაც არის რეგისტრირებული იპოთეკა უძრავ ქონებაზე: მდებარე ქ. თბილისი, მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპირო, საკადასტრო კოდი: 01.17.01.138.054 აცხადებს თანხმობას, რომ აღნიშნულ უძრავ ქონებაზე შეთანხმდეს დემონტაჟის პროექტი და გაიცეს შესაბამისი ნებართვა და შესაბამისად შპს „ბი.ზი. ინიშიეითივს ენდ ბიზნეს დეველოპმენტ ჯორჯია" არის თანახმა მოხდეს აღნიშნულ უძრავ ქონებაზე განთავსებული შენობა-ნაგებობის დემონტაჟი. | | LLC "B.Z. Initiatives and Business Development Georgia" (ID 204544421) represented by the Director Guy Yakov Zadik (citizen of Israel, I.D. 0-2775162-7), in whose favor a mortgage is registered on the real estate: located in Tbilisi, left bank of the Mtkvari River, cadastral code: 01.17.01.138.054, declares its consent to agree on a demolition project for the said real estate and issue an appropriate permit and accordingly LLC "B.Z. Initiatives and Business Development Georgia" agrees to demolish the building located on the said real estate. |
| შპს „ბი.ზი. ინიშიეითივს ენდ ბიზნეს დეველოპმენტ ჯორჯიას" დირექტორი გაი იაკოვ ცადიკი / Guy Yaakov Zadik, Director of B.Z. Initiatives and Business Development Georgia LLC<br><br>guy yakov zadik | | |

| | |
|---|---|
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი | **N250346374** |
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი | **25.03.2025 წ** |
| სანოტარო მოქმედების დასახელება | **ხელმოწერის წამდვილობის დამოწმება** |
| ნოტარიუსი | **დავით ჩალათაშვილი** |
| სანოტარო ბიუროს მისამართი | **თბილისი, მტკვრის ქუჩა #4** |
| სანოტარო ბიუროს ტელეფონი | **599336099** |
| სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი | **98674375499825** |

საქართველო

ორი ათას ოცდახუთი წლის ოცდახუთ მარტს მე, თამარ ახმეტელს, ნოტარიუს დავით ჩალათაშვილის შემცვლელ პირს, ჩემს სანოტარო ბიუროში - მისამართზე: თბილისი, მტკვრის ქუჩა #4-ში მომმართეს გაი იაკოვ ცადიკ-მა და მთარგმნელმა თორნიკე პარხომენკომ, რომელთაც გაეცნობადეს, რომ სურთ ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება ორენოვან (ქართულ-ინგლისურ) თანხმობაზე. მე შევამოწმე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის მოწმობით და დავრწმუნდი, რომ მე წამდვილად მომმართეს: გაი იაკოვ ცადიკ-მა (ისრაელის მოქალაქე, დაბ.03.04.1970, მცხოვრები მისამართზე: ისრაელი, მაზორ ჰარიმანის ქუჩა N5, პირადი #0-2775162-7, პასპორტი: 29036214, გაცემული 14.11.2016, ძალაშია: 13.11.2026), მთარგმნელმა თორნიკე პარხომენკომ (დაბადებული 17.02.1992, მცხოვრები: ქ. თბილისი, აწყურის ქუჩა 39, ბარათის ნომერი 20IC87066, პირადი ნომერი: 01011081564 გაცემული იუსტიციის სამინისტროს მიერ, ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი დიპლომი MH N001116 გაცემული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ). აღნიშნული მომენტისთვის მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე, ნოტარიუსის შემცვლელმა პირმა გაწვუმარტე ხელმომწერ პირებს დოკუმენტზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მათ წაიკითხეს და დაადასტურეს, რომ წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერა ზუსტად გამოხატავს მათ ნებას. მე, ნოტარიუსის შემცვლელი პირი, ამ დოკუმენტის დამოწმებისას ვადასტურებ, რომ ხელმოწერა მასზე უშუალოდ ხელმომწერ პირებს ეკუთვნის და არ ვადასტურებ დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების წამდვილობას და შესაბამისად, პასუხს არ ვაგებ მათზე. ხელმოწერა შესრულებულია ხელმომწერი პირების მიერ პირადად, ჩემი თანდასწრებით. დოკუმენტი წარმოდგენილია ორ ეგზემპლარად. მხარის თხოვნით, დოკუმენტის ერთი ეგზემპლარი რჩება ჩემს სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მას. გადახდილია საზღაური: თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების“ შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507 დადგენილების 31-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად 24.0 (ოცდაოთხი) ლარი, დღგ 4.32 ლარი - თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა საქართველოს მთავრობის ზემოაღნიშნული დადგენილების 39-ე მუხლის პირველი პუნქტისა შესაბამისად 5 (ხუთი) ლარი, სულ 33.32 (ოცდაცამეტი და 32) ლარი.

ნოტარიუსის შემცვლელი პირი: თამარ ახმეტელი

---

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

56318845592021

# საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

## რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

# N210390871

რეგისტრაციის თარიღი

22.04.2021 წ

ნოტარიუსი: ბაჩანა შენგელია
მისამართი: ქ. თბილისი, ფალიაშვილის ქუჩა 13
ტელეფონი: 243 11 46

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდაერთი წლის ოცდაორი აპრილი
საქართველოს ნოტარიუსი, ბაჩანა შენგელია
სანოტარო ბიურო მდებარე: ქ. თბილისი, ზ. ფალიაშვილის ქ. №13.

ნოტარიუს ბაჩანა შენგელიას მიერ შემოწმებულია „მინდობილობის გამცემის“ პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით/პასპორტით, აგრეთვე მისი ქმედუნარიანობა, უფლებამოსილება და ნების გამოვლენის ნამდვილობა.
მინდობილობა შედგენილია ქართულ და ინგლისურ ენებზე. ნოტარიუსმა და მინდობილობის გამცემმა დაადასტურეს, რომ ფლობენ ინგლისურ ენას, რის შემდეგაც ნოტარიუსმა ბ.შენგელიამ შეადგინა წინამდებარე მინდობილობა, რომელიც მოიწონა მხარემ და ნოტარიუსის თანდასწრებით პირადად მოაწერა მას ხელი.
ნოტარიუსმა ბაჩანა შენგელიამ პირადად თარგმნა წარმოდგენილი დოკუმენტი და პასუხს აგებს თარგმანის სისწორეზე.

<u>მინდობილობის გამცემი:</u>
გაი იაკოვ ცადიკ (დაბ.03.04.1970წ. ისრაელის მოქალაქის პასპორტის ნომერი: 29036214, პ/ნ 0-2775162-7, გაც: 14.11.2016წ. მოქმედების ვადა: 13.11.2026წ. მის: ისრაელი, მაზორ ჰარიმანის ქუჩა N5)

<u>მინდობილობის მიმღები პირები:</u>
მარიამ ძიძიშვილი (დაბ.29.02.1988წ. პ/ნ 01024049916, რეგ. მის. თბილისი ნ.ყიფშიძის ქ. N 9 ბ. 46)

გიორგი მაისურაძე (დაბ.25.03.1989წ. პ/ნ 01011062085, რეგ. მის. თბილისი ნ.ყიფშიძის ქ. N 9 ბ. 46)

თამარ მუხიგულაშვილი (დაბ.01.08.1997წ., პ/ნ 01019069645, რეგ. მის. თბილისი ავჭალა-2 დას. ვ. გორგასლის IV ჩიხი N 4)

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

<u>უფლებამოსილების ფარგლები:</u>
„მინდობილობის გამცემი“ მინდობილობის მიმღებს ერთად ან ცალ-ცალკე განსახორციელებლად ანიჭებს უფლებამოსილებას:
„მინდობილობის გამცემი“-ს სახელით არაერთჯერადად საქართველოში დააფუძნოს სხვა ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირ(ებ)თან ერთად ან/და ერთპიროვნულად მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი მეწარმე სუბიექტი (მათ შორის და არამარტო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები და სააქციო საზოგადოებები), იმოქმედოს მინდობილობის გამცემის

GEORGIA
NOTARY DEED

On the 22th of April, two thousand and twenty one
Notary of Georgia BACHANA SHENGELIA
Notary's Office address: 13 PaliashviliStr., Tbilisi

Notary Bachana Shengelia has checked identity of Authorizer by identification documents submitted by him, and his capability, authority and his expressed will.
Notary deed was made in Georgian and English. The notary and the Authorizer confirmed that they know English. Notary of Georgia, Bachana Shengelia personally translated presented document and I`m responsible for the truth of the translation.
After that notary made a Power of attorney and authorizer approved this Power of attorney and personally signed before notary.

<u>AUTHORIZER</u>
Guy Yaakov Zadik (born on 03.04.1970, citizen of State of Israel passport number: 29036214, p/n 0-2775162-7, date of issue: 14.11.2016, date of expiry: 13.11.2026, address: N5 Mazor Harimani str. Israel)

<u>ATTORNEY</u>
Mariam Dzidzishvili (born on 29.02.1988., personal # 01024049916, address: apart. 46, N9, N.Kipshidze str. Tbilisi).

Giorgi Maisuradze (born on 25.03.1989., personal # 01011062085, address: apart. 46, N9, N.Kipshidze str. Tbilisi).

Tamar Mukhigulashvili (born on 01.08.1997., personal # 01019069645, address: Avtchala 2, Vakhtang Gorgasali dead end 4, N4, Tbilisi, Georgia)

POWER OF ATTORNEY

<u>THE AUTHORITY</u>
The Principal herein grants to the Attorney the following authorities jointly or separately:
To establish on behalf of the issuer repeatedly in Georgia, any entrepreneurial entity provided by the Law of Georgia on Entrepreneurs, together with or/and individually, another natural person(s) or/and legal entities (including but not only limited to limited liability

სახელით საზოგადოების დაფუძნებისას, შეადგინოს, ხელი მოაწეროს, ჩააბაროს და მიიღოს საზოგადოების დაფუძნებისთვის საჭირო დოკუმენტები (მათ შორის საზოგადოების დაფუძნების ოქმი, საზოგადოების წესდება, კანონმდებლობით დადგენილი რეგისტრაციის ფორმა და სხვა), მიიღოს ნებისმიერი გადაწყვეტილება საზოგადოების დაფუძნებასთან დაკავშირებით (მათ შორის, შეარჩიოს საზოგადოების სახელი, განსაზღვროს იურიდიული მისამართი, განსაზღვროს კაპიტალის ოდენობა, განსაზღვროს აქციების / წილების სახეები და მიიღოს ნებისმიერი სხვა გადაწყვეტილება აქციებთან /წილებთან დაკავშირებით და ა.შ), მინდობილობის გამცემი ან/და სხვა პირი, დანიშნოს საზოგადოების დირექტორად და ჩემი სახელით განაცხადოს თანხმობა დირექტორად დანიშვნაზე, მიიღოს ნებისმიერი გადაწყვეტილება საზოგადოების დირექტორის დანიშვნასთან დაკავშირებით (განსაზღვროს დირექტორის კომპეტენცია და პასუხისმგებლობის მოცულობა, საზოგადოებაში დირექტორის წილების/აქციების ოდენობა), შეადგინოს, ხელი მოაწეროს, ჩააბაროს ან/და გამოითხოვოს ნებისმიერი დოკუმენტაცია, განახორციელოს ყველა ქმედება (მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებული სარეგისტრაციო პროცედურები) რაც საჭირო იქნება დირექტორის დანიშვნის პროცედურის განსახორციელებლად.

„მინდობილობის გამცემი"-ს სახელით განახორციელოს მინდობილობის გამცემის როგორც საქართველოში რეგისტრირებული ნებისმიერი კომპანიის პარტნიორის (სადაც მე ვარ ან ვიქნები პარტნიორად რეგისტრირებული) უფლება-მოვალეობანი, რაც მათ შორის მოიცავს შემდეგს: პარტნიორის სახელით მოიწვიოს საზოგადოებათა პარტნიორთა კრებები, მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების კრებებში, გამოთქვას თავისი მოსაზრება, დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება და ხმა მისცეს კრებებზე განსახილველ ნებისმიერ საკითხს (მათ შორის საზოგადოების კაპიტალის გაზრდის, წილის გასხვისების ან წილის უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენების შესახებ ნებართვის გაცემისა, კომპანიის საკუთრებაში არსებული ნებისმიერი მოძრავი თუ უძრავი ქონების გასხვისებისა და შეძენის, სარეგისტრაციო დოკუმენტებში ცვლილებების შეტანის და კრებაზე განსახილველ ნებისმიერ სხვა საკითხს რაც მიეკუთვნება პარტნიორთა კრების კომპეტენციას).

„მინდობილობის გამცემი"-ს სახელით განახორციელოს მინდობილობის გამცემის როგორც საქართველოში რეგისტრირებული ნებისმიერი კომპანიის დირექტორის (სადაც მე ვარ ან ვიქნები დირექტორად რეგისტრირებული) უფლება-მოვალეობანი, რაც მათ შორის მოიცავს შემდეგს:

მინდობილობის მიმღებები უფლებამოსილი არიან დადონ ნებისმიერი გარიგება, ხელი მოაწერონ ნებისმიერ დოკუმენტს/ხელშეკრულებას/შეთანხმებას (მათ შორის ნასყიდობის, სესხის, საბანკო კრედიტის, იპოთეკის და ა.შ) ნებისმიერ თანხაზე და თავად განსაზღვრონ ხელშეკრულების/გარიგების პირობები.

მინდობილობის მიმღებები უფლებამოსილი არიან მართონ და განკარგონ კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავ/მოძრავი ქონება და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე. შეიძინონ, გაასხვისონ, დატვირთონ იპოთეკით ან/და გირავნობით, გაყონ გააერთიანონ კომპანიის საკუთრებაში არსებული და/ან სამომავლო უძრავი და /ან მოძრავი ქონება და/ან

and joint stock companies), act on behalf of the issuer of power of attorney when establishing a company, compile, sign, submit and recieve all documents required for the establishment of the company (including but not limited to foundation protocol of the company, the charter of the company, the form of registration established by legislation, etc), make any decision regarding establishment of the company (including but not limited to select the name of the company, determine the legal address and amount of capital, determine the types of stocks/shares and make other decision regarding the stocks/shares, etc.), appoint the issuer of this Power of Attorney and / or another person as the director of the company and issue consent on my behalf to be appointed as a director, make any decisions regarding to the appointment of the director of the company (determine the competence and scope of responsibility of the director, the amount of the director's stocks/shares in the company), draw up, sign, submit or / and request any documentation, accomplish all the actions (including registration procedures required by legislation) which shall be required to carry out the director appointment procedure.

To implement the rights and obligations of the "issuer" of the power of attorney as a partner (where I am or will be registered as a partner) of any company registered in Georgia, that covers the following: to act on behalf of the "Issuer" as the shareholder and convey shareholders meetings, attend those meetings, express his opinion and make decision independently and vote in favor or against any and all issues discussed at those meetings (such as increasing the authorized share capital of the company, giving permit to sell or mortgage shares, to purchase or sell any kind of movable or immoveable property of the company, to change registration documents of the company and other issues that belong to the authority of the shareholders meeting).

To implement the rights and obligations of the "issuer" of the power of attorney as a director (where I am or will be registered as a director) of any company registered in Georgia, that covers the following:

The recipients of the power of attorney are authorized to enter into any transaction, sign any document / agreement / agreement (including purchase, loan, bank credit, mortgage, etc.) and determine the terms of the agreement / transaction.

The recipients of the power of attorney are authorized to manage and dispose of the real estate / movable property and intangible property owned by the company. Acquire, alienate, mortgage and / or pledge, divide, consolidate the

არამატერიალური ქონებრივი სიკეთე. ხელი მოაწერონ ნასყიდობის, იპოთეკის, გირავნობის ხელშეკრულებებს, მათში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ შეთანხმებებს, იპოთეკა/გირავნობის მოხსნის განცხადებებს. ასევე, მოახდინოს კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მონაცემებში ცვლილებები და კორექტირებები (მათ შორის უძრავი ქონების კვადრატულობის დაზუსტება, სტატუსის ცვლილება, ნომრის მინიჭება და ნებისმიერი სახის პარამეტრის შეცვლა/კორექტირება). ასევე, მოახდინოს მესაკუთრის პირად მონაცემებში ცვლილებების და დამატებების შეტანა.

მინდობილობის მიმღებები უფლებამოსილი არიან გახსნან ან/და დახურონ კომპანიის ნებისმიერი საბანკო ანგარიშ(ებ)ი სს „საქართველოს ბანკში“ და ხელი მოაწერონ ყველა საჭირო დოკუმენტს ან/და ხელშეკრულებას აღნიშნული დავალების შესასრულებლად. მინდობილობის მიმღები უფლებამოსილი არიან ისარგებლონ კომპანიის საბანკო ბარათის დამზადების და გატანის უფლებით (მათ შორის დაკავებული ბარათის მიღება, მოქმედების ვადის გაგრძელება, გაუქმება). მინდობილობის მიმღებები ასევე უფლებამოსილი არიან დარეგისტრირდნენ და ისარგებლონ სს „საქართველოს ბანკის“ ინტერნეტ ბანკინგით, ჰქონდეთ მასთან წვდომის/ხედვის უფლება, ისარგებლონ და ხელი მოაწერონ იმეილ ბანკის აქტივაციის განაცხადს, მიიღონ დიჯიპასი, ჰქონდეთ პაროლი, შეძლონ პაროლის ცვლილება/აღდგენა და ხელი მოაწერონ ყველა საჭირო დოკუმენტს, მიიღონ და ისარგებლონ ნებისმიერი სახის დისტანციური მომსახურებით.

მინდობილობის მიმღებები უფლებამოსილი არიან დაარეგისტრირონ, მართონ, ისარგებლონ, შეცვალონ, გააუქმონ სს „საქართველოს ბანკის“ ნებისმიერი პროდუქტი/მომსახურება/სერვისი. დადონ ნებისმიერი გარიგება და ხელი მოაწერონ ნებისმიერ დოკუმენტს/ხელშეკრულებას/ შეთანხმებას/ და შეასრულონ ყველა ქმედება, რაც დაკავშირებულია მოცემული დავალების შესრულებასთან. სს „საქართველოს ბანკის“ წინაშე ნებისმიერ დროს, შეუზღუდავად იკისრონ ნებისმიერი ვალდებულება, მათ შორის სასესხო. თავისი შეხედულებისამებრ შეუზღუდავად აიღონ/ისარგებლონ ნებისმიერი საკრედიტო პროდუქტის(ებ)ით და დადონ ნებისმიერი ტიპის გარიგება, მათ შორის საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების შესახებ, სესხის, ფაქტორინგის, მოთხოვნის დათმობის, საბანკო კრედიტის, ნებისმიერი სახის საბანკო გარანტიის, ოვერდრაფტის, საკრედიტო ხაზის, საკრედიტო ბარათის ლიმიტის ცვლილების (გაზრდა/შემცირება), საკრედიტო ხელშეკრულებების (ასევე მათი ცვლილებები/დამატებები/გაუქმებები) და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი უზრუნველყოფის, მათ შორის იპოთეკის, გირავნობის, თავდებობის ხელშეკრულება, ვალდებულების ანაბრით, ფასიანი ქაღალდებით (მათ შორის ნოუთების და ბონდების) და შესაბამისი ფინანსური ინსტრუმენტების უზრუნველყოფის ხელშეკრულება (ასევე ხელი მოაწერონ მათში შეტანილ/შესატან ცვლილებებს, დამატებებს, გაუქმებებს და ა. შ).

მინდობილობის მიმღებები უფლებამოსილი არიან ხელი მოაწერონ ნებისმიერ მონაცემთა ბაზაში კომპანიის ვერიფიკაციასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, მასზე არსებული ინფორმაციის გამოთხოვის დოკუმენტს, სსიპ

company owned and / or future real and / or movable property and / or intangible property. Sign purchase, mortgage, pledge agreements, change and amend agreements, and mortgage / pledge removal applications. Also, make changes and adjustments to the real estate data owned by the company (including specifying the square footage of real estate, changing the status, assigning a number and changing / correcting any parameters). Also, make changes and additions to the owner's personal data.

The recipients of the power of attorney are authorized to open and / or close any bank account (s) of the Company with JSC Bank of Georgia and to sign all necessary documents and / or agreements for the performance of this task. Recipients of the power of attorney are entitled to exercise the right to request and receive the bank card of the company (including the receipt of the seized card, extension, cancellation). Recipients of the power of attorney are also authorized to register and use JSC Bank of Georgia Internet Banking, to have access to / view it, to use and sign the e-Bank activation application, to receive Digipass, to have a password, to be able to change / reset the password, and use any kind of remote service.

The recipients of the power of attorney are authorized to register, manage, use, change, cancel any product / service / service of JSC Bank of Georgia. Conclude any transaction and sign any document / contract / agreement / and perform all actions related to the performance of the given task. At any time, without any restrictions, to take any liabilities before JSC Bank of Georgia, including loans. To take / use any credit product (s) without restriction at their own discretion and enter into any type of transaction, including credit product services, loan, factoring, demand concession, bank credit, any kind of bank guarantee, overdraft, credit line, credit card limit change (increase / decrease), credit agreements (as well as their changes / additions / cancellations) and any collateral related to them, including mortgages, pledges, surety agreements, securities deposit agreements, securities agreements (including notes and bonds), and an agreement to provide relevant financial instruments (also sign changes / additions, additions, cancellations, etc. to them).

Recipients of the power of attorney are authorized to sign the documents related to the verification of the company in any database, the document requesting information on it, the form of consent to verify the data in the databases of the LEPL State Services Development Agency.

To represent the company in relations with the LEPL "Revenue Service", open and / or register the company as

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ბაზებში მონაცემების გადამოწმების თანხმობის ფორმას.
წარმოადგინოს კომპანია სსიპ „შემოსავლების სამსახურთან", გახსნას ან/და დაარეგისტრიროს კომპანია გადასახადის გადამხდელად (მათ შორის "დღგ"-ს გადამხდელად), მიიღოს ელექტრონული პორტალის მომხმარებელი და პაროლი და განახორციელონ ყველა ქმედება, რაც დაკავშირებულია კომპანიის საგადასახადო აქტივობასთან.
წარმოადგინოს კომპანია საქართველოს საერთო სასამართლოებთან ურთიერთობაში და ამ მიზნით აღძრას სარჩელი, წარადგინოს შესაგებელი, შუამდგომლობა, განცხადება, მისცეს ახსნა-განმარტებები, ისარგებლოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით წარმომადგენლისათვის მინიჭებული უფლებამოსილებით, მათ შორის დაასრულოს დავა მორიგებით, გამოიხმოს ან უარი თქვას სარჩელზე.
ხელი მოაწეროს, ჩააბაროს, მიიღოს ან/და გამოითხოვოს ნებისმიერი სახის განცხადება, საჩივარი, მოთხოვნა ან/და სხვა დოკუმენტაცია.
დაკისრებული ვალდებულების შესრულებისათვის მინდობილობის მიმღებები ერთობლივად ან/და ცალცალკე უფლებამოსილი არიან წარმოადგინონ მინდობილობის გამცემი სანოტარო ბიუროებში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრთან ურთიერთობაში, ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან და სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობაში.

<u>მინდობილობის ვადა:</u>
მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია მის სრულ გაუქმებამდე.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია ქართულ ენაზე ოთხ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუსის, ბაჩანა შენგელიას, სანოტარო ბიუროს არქივში, ხოლო სამი გადაეცა მინდობილობის გამცემს.

გადახდილია სანოტარო მომსახურეობის საზღაური სულ: 37.40 ლარი, აქედან: 10.00 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წელი, დადგენილება №507) 31-ე მუხლისა, 20.00 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წელი, დადგენილება №507) 34-ე მუხლისა, დღგ: 5.40 ლარი თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა, 2.00 ლარი, ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური, თანახმად აღნიშნული დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წელი, დადგენილება №507) 39-ე მუხლისა.

a taxpayer (including VAT payer), obtain an electronic portal user and password and perform all actions related to the tax activity of the company.
To represent the company in relations with the common courts of Georgia and for this purpose to file a lawsuit, to file a counterclaim, intercede, statement, give explanations, to exercise the powers granted to a representative by the Civil Procedure Code of Georgia, including completing disputes by settlement, withdrawing or rejecting a claim.
Sign, submit, receive or / and request all kinds of application, complaint, request or / and other documentation.
In order to fulfill the imposed obligation, the attorneys are jointly or/and separately authorized to represent the issuer of the power of attorney in relations with the notary offices, the Register of Entrepreneurs and Non-Entrepreneurial (Non-Commercial) legal entities of the National Agency of Public Registry of the Ministry of Justice of Georgia, with any individuals or legal entities and state authorities.

<u>TERM OF THE POWER OF ATTORNEY</u>
This Power of Attorney becomes effective upon notarizing and stays valid until its termination.

This Power of Attorney is made in Georgia and English in 4 copies, all three texts being equally authentic, one of them shall be carried in the notary archive of Bachana Shengelia and three copies shall be given to the Authorizer.

Tariff paid 37.40 Gel in total, including 10.00 Gel according to the Georgian government Order, (December 29, 2011 order #507) Article 31, 30.00 Gel according to the Georgian government Order, (December 29, 2011 order #507) Article 34, VAT: 5.40 according to the Georgian Tax Code article 166, 2.00 Gel, for notary actions' online registration according to the Georgian government Order (December 29, 2011 order #507) Article 39.

მინდობილობის გამცემი:
Authorizer:

ნოტარიუსი
Notary

ბაჩანა შენგელია
Bachana Shengelia

შეკრულია და დანომრილია
5 (ხუთი) ფურცლად
ნოტარიუსი:

# თანხმობა

ქ. თბილისი თარიღი: 17.03.2025

შპს „ბი.ზი. ინიშიეითივს ენდ ბიზნეს დეველოპმენტ ჯორჯია” (ს.ნ 204544421), რომელის სასარგებლოდაც არის რეგისტრირებული იპოთეკა უძრავ ქონებაზე: მდებარე ქ. თბილისი, მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპირო, საკადასტრო კოდი: 01.17.01.138.054 აცხადებს თანხმობას, რომ აღნიშნულ უძრავ ქონებაზე შეთანხმდეს დემონტაჟის პროექტი და გაიცეს შესაბამისი ნებართვა.

შპს „ბი.ზი. ინიშიეითივს ენდ ბიზნეს დეველოპმენტ ჯორჯიას”

წარმომადგენელი გიორგი მაისურაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01252391372**
გაცემის თარიღი: **27/08/2025**

**ადრესატი:** მაია სესიაშვილი
**პირადი ნომერი:** 01013016006
**მისამართი:** თბილისი გურამ რჩეულიშვილის ქ. N 36

**ქალბატონო მაია,**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი, 2025 წლის 26 აგვისტოს №0125238776-16 განცხადება, რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

დაკმაყოფილდეს 2025 წლის 26 აგვისტოს №0125238776-16 განცხადება და შეთანხმდეს საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა თანდართულ ბმულზე არსებული დანართის შესაბამისად.

ვინაიდან სამუშაოებისთვის განკუთვნილი საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა **(სამშენებლო ღობე)** მოიცავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიას, ასევე საზოგადოებრივ სივრცეს, აღნიშნული სქემა ჩაითვლება შეთანხმებულად, განსახორციელებელი სამუშაოთა წარმოების შესახებ სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში **(ოფიციალური საიტი: MS.GOV.GE - MS LETTERS - სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო“, შესაბამის ნომენკლატურაში - „სამუშაოების წარმოების და საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის შეთანხმება“ და სამუშაოების წარმოება და საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა“)** შესაბამის ნომენკლატურაში განცხადების წარმოდგენისა და დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში.

**საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები შეთანხმებულია იმ პირობით, რომ სამშენებლო ტექნიკა იმოძრავებს მოქმედი სამართლებრივი დადგენილი წესით.**

სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში, საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემის მიხედვით გათვალისწინებული საგზაო ნიშნები უნდა განთავსდეს მოძრავ დგარზე, რათა არ დაზიანდეს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურა. ამასთან, განსათავსებელი დროებითი საგზაო ნიშნები დამზადებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სტანდარტების შესაბამისად.

იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოებისათვის საჭირო დროებითი და არსებული საგზაო ნიშნები ეწინააღმდეგება/ხელს უშლის ერთმანეთს, საჭიროა უკვე არსებული საგზაო ნიშნები შეიფუთოს, ხოლო სამუშაოს დასრულებისთანავე დემონტაჟი უნდა გაუკეთდეს დროებით დამონტაჟებულ საგზაო მოძრაობის ორგანიზების ტექნიკურ საშუალებებს და ქუჩის სავალი ნაწილი (ყველა შეფუთული ნიშნის ჩათვლით) მოყვანილი იქნას პირვანდელ მდგომარეობაში.

დამატებით გაცნობებთ, რომ თუ მშენებლობის პერიოდში, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, ხორციელდება სხვა სამშენებლო სამუშაოები და დროებითი საგზაო ნიშნები, რომლებიც განთავსებულია სხვა, ნებართვის მქონე, შემსრულებელი კომპანიის მიერ და კვეთს/ეწინააღმდეგება თქვენს მიერ დასამონტაჟებელ საგზაო ნიშნებს, დროებითი საგზაო ნიშნები დაიტანოთ საჭიროებისამებრ და

აუცილებლობის შემთხვევაში, სამუშაოები განახორციელოთ უკვე განთავსებული დროებითი საგზაო ნიშნების გამოყენებით. ხოლო, სხვა შემსრულებლის მიერ, სამუშაოების დასრულებისა და ნიშნების დემონტაჟის შემთხვევაში, უზრუნველყოთ თქვენი საგზაო ნიშნების სრულად მონტაჟი, მოცემული პირობების შესაბამისად.

საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის ცვლილება საჭიროებს შეთანხმებას სააგენტოსთან.

ასევე გაცნობებთ, რომ საჭიროების შემთხვევაში, სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო იტოვებს უფლებამოსილებას, მოითხოვოს სამუშაოების პერიოდში არსებული სიტუაციის საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის ალტერნატიული ვარიანტის წარმოდგენა.

გადაწყვეტილების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია ამ გადაწყვეტილების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ჟ. შარტავას ქუჩა N7) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**დანართი: სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები იხილეთ თანდართულ ბმულზე :**

https://cloud.msda.ge/index.php/s/C56AVUsRWS1i7jV

**პატივისცემით,**

მამუკა მუმლაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო-უფროსის მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01252442746**
გაცემის თარიღი: **01/09/2025**

**ადრესატი:** მაია სესიაშვილი
**პირადი ნომერი:** 01013016006
**მისამართი:** თბილისი გურამ რჩეულიშვილის ქ. N 36

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და ,,ცალკეული ხაზობრივი ნაგებობების განთავსებაზე თანხმობის გაცემის, აღნიშნული სამუშაოების საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემით ან სქემის გარეშე წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 22 ნოემბრის №46-87 დადგენილების შესაბამისად, გაცნობებთ:

1. დაკმაყოფილდეს განმცხადებლის წერილობითი თხოვნა და მიეცეს თანხმობა განახორციელოს ქ. თბილისში, ნოე ჟორდანიას სანაპიროს მიმდებარედ სამშენებლო ღობის მოწყობის მიზნით საჭირო სამუშაოები, დანართში მოხსენიებულ სავარაუდო მონაკვეთზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ტრანსპორტის და ურბანული განვითარების სააგენტოსთან და ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან შეთანხმებული დროებითი მოძრაობის ორგანიზაციის სქემების შესაბამისად, უსაფრთხოების და ტექნიკური ნორმების სრული დაცვით.

2. პროექტით განსაზღვრულ მონაკვეთში სამუშაოების დასრულების შემდგომ, ყველა ტიპის საგზაო მოძრაობის ორგანიზების ტექნიკური საშუალებები უნდა იყოს აღდგენილი პირვანდელი სახით.

3. აქტი ძალაშია მისი გაცნობიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადით.

დანართი: 3 (სამი) ფურცელი

(ელექტრონული ფორმით გაცემული აქტის გაცნობისთვის დაინტერესებულ მხარეს განესაზღვრება ვადა - სააგენტოს მიერ აქტის გამოცემიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ოდენობით. თუ აღნიშნულ ვადაში დაინტერესებული პირი აქტს არ გაეცნობა აქტი ითვლება ძალადაკარგულად.)

გადაწყვეტილების გასაჩივრება, კანონმდებლობით დადგენილი წესით, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია ამ გადაწყვეტილების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ჟ. შარტავას ქუჩა N7)

მამუკა მუმლაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო-უფროსის მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA
PATROL POLICE DEPARTMENT

27/08/2025

MIA 3 25 02776784

მოქ. მ. სესიაშვილს
თქვენს 2025 წლის 27 აგვისტოს განცხადებაზე

ასლი: შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის
ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს

შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში განხილულ იქნა თქვენი განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისი, მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპირო ს/კ 01.17.01.138.054-ის მიმდებარედ სამშენებლო დამცავი ღობის განთავსების და არსებული საგზაო/სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ნაკადების მიმართულების საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის სქემების შეთანხმებას.

ვითვალისწინებთ რა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ტრანსპორტის და ურბანული განვითარების სააგენტოს თანხმობას, შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი ითანხმებს (საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კუთხით) წარმოდგენილ დროებითი და მუდმივი მოძრაობის ორგანიზაციის სქემებს და არ არის წინააღმდეგი განახორციელოთ სამუშაოები შემდეგი პირობების დაცვით:

საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები შეთანხმებულია იმ პირობით, რომ სამშენებლო ტექნიკა იმოძრავებს მოქმედი სამართლებრივი დადგენილი წესით.

- ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხოების მიზნით დამცავი ღობის ფარგლებში მოეწყოს ქუჩის სავალი ნაწილის მხრიდან ქვეითად მოსიარულეთა ბილიკი, ღობე გზის სავალი ნაწილის მხრიდან გადაიხუროს და ღამის საათებში განათდეს;
- სამშენებლო ობიექტზე მისასვლელი გზა (სამუშაოების განხორციელების პროცესში) აღიჭურვოს მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებებით შეთანხმებული სქემების შესაბამისად, ხოლო მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მოძრაოის ორგანიზების ტექნიკურ საშუალებებს გაუკეთდეს დროებით დემონტაჟი ან შეიფუთოს;
- საგზაო მოძრაობის რეგულირებისთვის და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილების მიზნით სამუშაოების მწარმოებლის მიერ გამოყოფილ იქნეს სპეც. ტანსაცმლით და ალმით აღჭურვილი საჭირო რაოდენობის თანამშრომელი;
- დაცული იქნას გზის სავალი ნაწილის სისაუფთავე, არ დაუშვათ სამშენებლო მასალისა და ტექნიკის გზის სავალ ნაწილზე განთავსება;
- სამუშაოების დასრულებისთანავე ფეხით მოსიარულეთა ბილიკი მოყვანილ იქნას პირვანდელ მდგომარეობაში, დროებითი მოძრაობის რეგულირების ტექნიკურ საშუალებებს გაუკეთდეს დემონტაჟი და გზის მიერთების ადგილები აღიჭურვოს

0190, თბილისი, ნოე რამიშვილის ქ. №38
№38, Noe Ramishvili St. 0190, Tbilisi, Georgia
ტელ./Tel.: (+995 032) 2 41 42 42
ფაქსი/Fax: (+995 032) 2 41 85 02
E-mail: patrolinfo@mia.gov.ge

მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებებით შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის სქემების შესაბამისად;

- სამუშაოების დაწყების შესახებ წინასწარ ეცნობოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს და შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამორიგეო ნაწილს (241–85–04; 241–85–05).

მეორე ადრესატს: გთხოვთ, უზრუნველყოთ კონტროლის დაწესება წერილში მითითებულ პირობების შესრულებაზე და მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებების განთავსების მდგომარეობაზე. შეუსრულებლობის შემთხვევაში გაატარეთ ზომები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 134 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი /
საორგანიზაციო სამმართველო / საგზაო მოძრაობის
ზედამხედველობის განყოფილება
განყოფილების უფროსი
ბარბაქაძე დავით

**შენიშვნა:**
- დროებითი ღობის კონტური დაზუსტდეს ადგილზე
- არ გასცდეს რეგისტრაციის ხაზებს
- დროებითი ღობე განთავსდეს ისე რომ არ დააზიანოს მწვანე ნარგავები

**შენიშვნა:** სამშენებლო ღობე და ქოლგა მოაწყვეთ ისე, რომ ხელს არ უშლიდეს არსებულ ხე-მცენარეებს, ქვეითების სამოძრაოდ დარჩეს მინიმუმ 0.90 მეტრი და უზრუნველყოფილი იყოს მათი უსაფრთხო და შეუფერხებელი გადაადგილება.

## პირობითი ნიშნები:

## დროებითი საგზაო ნიშნები:

T 7 ციმციმა 2 ცალი

სამშენებლო ტექნიკის მოძრაობის მიმართულება

ქვეითთა მოძრაობის მიმართულება

სამშენებლო ღობის ქოლგა

სამშენებლო ღობე

1 კაცი

**შენიშვნა:**
სამშენებლო ტექნიკა იმოძრავებს მოქმედი სამართლებრივი დადგენილი წესით.

**შენიშვნა:**
- სამშენებლო ღობე ქოლგით მოეწყოს მხოლოდ იქ სადაც ნაკვეთს ესაზღვრება საზოგადობრივი სივრცე(გზა), იქ სადაც გადაადგილდება ადამიანი.
- სამშენებლო ობიექტი უნდა იყოს შემოღობილი და უცხო პირებისგან იზოლირებული.

**შენიშვნა:**
სამშენებლო ტექნიკა იმოძრავებს არსებული შესასვლელით




**შენიშვნა:**
**დროებითი სქემა შედგენილია "ოდმ 218.6.014-2014" და საქართველოს კანონის ,,საგზაო მოძრაობის შესახებ" მოთხოვნების შესაბამისად**

1. გამაფრთხილებელი ზონის სიგრძე შეადგენს 50 მეტრს.
2. ბუფერულიზონა არ გვაქვს ვინაიდან სავალ ნაწილზე არ მიმდინარეობს სამუშაოები
3. სამუშაო ზონის სიგრძე გვაქვს 50 მეტრი
4. სავალი ნაწილის დახურული ზოლის სიგანე არ გვაქვს ვინაიდან სავალ ნაწილზე არ მიმდინარეობს საგზაო სამუშაოები
5. სამუშაოთა წარმოების ზონის სიგრძე არ გვაქვს ვინაიდან სავალ ნაწილზე არ მიმდინარეობს საგზაო სამუშაოები
6. მედროშეები უზრუნველყოფენ მცირე ტვირთმზიდი სატვირთო ავტომობილების მიმართულების განსაზღვრას

კვეთი 1-1




**შენიშვნა:**
სამშენებლო ტექნიკა გადაადგილდება მხოლოდ ღამის საათებში - 00:00 სთ-დან 06:00 სთ-მდე.

ქალაქ თბილისი, მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპირო ს/კ 01.17.01.138.054 -ზე შენობის დემონტაჟის პერიოდში საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა.

საკონტაქტო პირი: ერეკლე კერესელიძე ტელ: 597007944

დამკვეთი: შპს "ნირან პროპერტის დეველოპმენტი"

საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა

**შენიშვნა:**
- დროებითი ღობის კონტური დაზუსტდეს ადგილზე
- არ გასცდეს რეგისტრაციის ხაზებს
- დროებითი ღობე განთავსდეს ისე რომ არ დააზიანოს მწვანე ნარგავები

**შენიშვნა:** სამშენებლო ღობე და ქოლგა მოაწყვეთ ისე, რომ ხელს არ უშლიდეს არსებულ ხე-მცენარეებს, ქვეითების სამოძრაოდ დარჩეს მინიმუმ 0.90 მეტრი და უზრუნველყოფილი იყოს მათი უსაფრთხო და შეუფერხებელი გადაადგილება.

## პირობითი ნიშნები:

- T 7 ციმციმა 3 ცალი
- სამშენებლო ტექნიკის მოძრაობის მიმართულება
- ქვეითთა მოძრაობის მიმართულება
- უსაფრთხოების ლენტი
- სამშენებლო ღობის ქოლგა
- სამშენებლო ღობე
- 2 ცალი
- 2 კაცი
- საქვეითე დერეფანი
- მაფრთხილებელი ჯებირი

## დროებითი საგზაო ნიშნები:

- 1.21.2 2 - ცალი
- 3.10 2 - ცალი
- 1.26 3 - ცალი
- 3.24 3 - ცალი
- 4.2.2 1 - ცალი

**შენიშვნა:**
სამშენებლო ტექნიკა იმოძრავებს მოქმედი სამართლებრივი დადგენილი წესით.

**შენიშვნა:**
- სამშენებლო ღობე ქოლგით მოეწყოს მხოლოდ იქ სადაც ნაკვეთს ესაზღვრება საზოგადობრივი სივრცე(გზა), იქ სადაც გადაადგილდება ადამიანი.
- სამშენებლო ობიექტი უნდა იყოს შემოღობილი და უცხო პირებისგან იზოლირებული.

**შენიშვნა:**
სამუშაოები იწარმოებს 2 დღე .
ღობის მონტაჟი და დემონტაჟი განხორციელდება ღამის საათებში 00-00 სთ-დან 6:00 სთ-მდე. დღისით ყველა შეზღუდვა მოიხსნას
სამუშაო ზონის სიგრძე გვაქვს 50 მ

**შენიშვნა:**
**დროებითი სქემა შედგენილია "ოდმ 218.6.014-2014" და საქართველოს კანონის „საგზაო მოძრაობის შესახებ" მოთხოვნების შესაბამისად**

1. გამაფრთხილებელი ზონის სიგრძე შეადგენს 50 მეტრს.
2. ბუფერულიზონა არ გვაქვს ვინაიდან სავალ ნაწილზე არ მიმდინარეობს სამუშაოები
3. სამუშაო ზონის სიგრძე გვაქვს 50 მეტრი
4. სავალი ნაწილის დახურული ზოლის სიგანე არ გვაქვს ვინაიდან სავალ ნაწილზე არ მიმდინარეობს საგზაო სამუშაოები
5. სამუშაოთა წარმოების ზონის სიგრძე არ გვაქვს ვინაიდან სავალ ნაწილზე არ მიმდინარეობს საგზაო სამუშაოები
6. მედროშეები უზრუნველყოფენ მცირე ტვირთამზიდი სატვირთო ავტომობილების მიმართულების განსაზღვრას

**შენიშვნა:**
სამშენებლო ტექნიკა გადაადგილდება მხოლოდ ღამის საათებში - 00:00 სთ-დან 06:00 სთ-მდე.




## კვეთი 1-1




## კვეთი 2-2




ქალაქ თბილისი, მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპირო ს/კ 01.17.01.138.054 -ზე შენობის დემონტაჟის პერიოდში საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა.

საკონტაქტო პირი: ერეკლე კერესელიძე ტელ: 597007944

ღობის მონტაჟი-დემონტაჟის პერიოდში საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა

დამკვეთი: შპს "ნირან პროპერტის დეველოპმენტი"